BAG ინდექსი

დასაქმების ბარომეტრი

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE
Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich

MPG Research

III კვარტალი 2021

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ.[1]

2021 წლის III კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით უმეტესად დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 11.7 ქულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია 2020 წლის III კვარტალთან შედარებით (5.5 ქულით), თუმცა, წინა – 2021 წლის II კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაუარესებული (15.7 ქულით).



გრაფიკი 1: BAG დასაქმების ბარომეტრი

2021 წლის III კვარტალში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი დადებითია ყველა სექტორში, მომსახურების სექტორის გარდა. 2021 წლის III კვარტალში, 2021 წლის II კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუმჯობესდა ვაჭრობის და მშენებლობის სექტორებში, ხოლო მრეწველობისა და მომსახურების სექტორებში გაუარესდა (იხილეთ გრაფიკი 2).

2021 წლის III კვარტალში, 2021 წლის II კვარტალთან შედარებით, ვაჭრობისა და მშენებლობის სექტორებში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებლის გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს ამ სექტორებში არსებულ ოპტიმისტურ მოლოდინს გაყიდვების ზრდასთან დაკავშირებით.

მრეწველობის სექტორში დასაქმების ბარომეტრი დადებითია, თუმცა, წინა კვარტალთან შედარებით, ნაკლები კომპანია გეგმავს მომდევნო სამ თვეში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდას. მომსახურების სექტორში კომპანიათა უმრავლესობა (84%) მომდევნო სამ თვეში არ გეგმავს დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას, 9% კი - შემცირებას გეგმავს.

[1] კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც ,,მზარდი'', ,,სტაბილური'' ან ,,კლებადი''. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - ,,მზარდი''-სა და ,,კლებადი''-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100–დან +100–მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

რაც შეეხება წლიურ ცვლილებას, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის III კვარტალში, 2020 წლის III კვარტალთან შედარებით, ყველა სექტორისთვის დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუმჯობესდა. ყველაზე მეტად დასაქმების ბარომეტრი მშენებლობის სექტორში გაუმჯობესდა (13 ქულით), ხოლო ყველაზე ნაკლებად მომსახურების სექტორში (2.7 ქულით).

ცხრილი 1: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

	IV კვ. 2019	I კვ. 2020	II კვ. 2020	III კვ. 2020	IV კვ. 2020	I კვ. 2021	II კვ. 2021	III კვ. 2021
ვაჭრობა	33.3	-45.0	5.6	12.5	-23.5	2.8	18.2	**21.6**
მომსახურება	14.6	-41.7	0.0	-5.0	-8.0	17.6	34.8	**-2.3**
მრეწველობა	11.1	-25.0	0.0	16.7	20.0	17.6	33.3	**21.4**
მშენებლობა	50.0	-80.0	-28.6	14.3	-33.3	30.8	12.5	**27.3**
BAG	26.1	-46.7	-2.8	6.2	-13.7	14.7	27.4	**11.7**



გრაფიკი 2: BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით

კონტაქტი:

ლეონიძის ქ.2, თბილისი, საქართველო

+995 32 2 202-215

info@bag.ge

Business Association of Georgia

www.bag.ge